№ 138
კვირა, 2 ივლისი 1895

1877—1895

ივერია

№ 138
კვირა, 2 ივლისი 1895

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	70
9	8	—	3	3	55
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑ
ყოველ გვარს **ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐᲡ.**
მსურველთ მოვემართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

საზაფხულო ბაღი
(მუშტაიდისეული)
კვირას, 2 ივლისს,
ქართულის სცენის აქტიორებისაგან სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება:
I
ქოროღლი
ტრაგ. 4 მოქ. თხ. ანტონოვისა.
II
ბაზაზი შკაფში
ვოდ. 1 მოქ.
მომქმედნი პირნი: ქ-ნნი რჩეულოვისა, ბერძენიშვილისა; ბ.ბ. ადამიძე, მჭედლიშვილი, საფაროვი, ფურცელაძე, ტარიელოვი და სხვ.
ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი და ზურნა.
დასაწყისი 8½ საათზედ.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ
დღეს, 2 ივლისს,
ბ-ნ ᲞᲔᲢᲘᲞᲐᲡ დასი წარმოადგენს
«San-Gên»-ს
კომედია სამ მოქმედებად მოროსი და სარდუსი.
წარმოდგენაზედ მონაწილეობას იღებენ ბ-ნი ᲞᲔᲢᲘᲞᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲪᲝᲚᲘᲗ.
დასაწყისი 9 საათზედ.

ტფილისი, 2 ივლისი.

—

იმ საშუალებათა შორის, რომლითაც მუშა ხალხი სარგებლობს თვისის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, თვალ-საჩინო ალაგი უჭირავს სხვა-და-სხვა ნაირს ასსოციაციებს. უპირველესისა და უახლოვბელესის საჭიროებისა და მოთხოვნილების მიხედვით, ასსოციაციები განიყოფებიან სამ ტიპად: შენობების ამგები ასსოციაცია, სასმელ-საჭმელისა და სხვა საოჯახო მასალის მიმწოდებელი ასსოციაცია და ბოლოს მწარმოებელი ასსოციაცია. მუშა ხალხს ესაჭიროება კარგი და მასთანავე იაფი სადგომი და ამისათვის არსდება მრავალი მუშა-ხელოსანთა ამხანაგობა, იჩენს საერთო თანხას და აშენებს სადგომებს ამხანაგობის წევრთათვის; წევრი წვრილ-წვრილად იხდის ყოველ წლივ სახლის ქირას იმ დრომდე, სანამ გარდიხდის სრულიად ფულს, რომელიც დასჭირდა შენობის აგებას და ხდება სახლის პატრონად. მუშა ხალხს ესაჭიროება აგრეთვე უბრალო, მაგრამ კარგი საჭმელ-სასმელი და მასთანავე იაფი; ამისათვის არსდება ამხანაგობა, იჩენს თანხას, აარსებს მაღაზიას და ყიდულობს საჭირო ხორაგსა და მასალას; ერთბაშად ბევრის მასალის სყიდვა ამხანაგობას იაფად უჯდება და ეს ნებას აძლევს მაღაზიას იაფად მიჰყიდოს წევრთ ყველა საჭირო და მასთანავე კარგის ღირსების მასალა. ყველაზედ უფრო მუშა-ხელოსანი და საზოგადოდ მწარმოებელი შეწუხებულია იმ გარემოებით, რომელიც მას შუამავლისა და ჩარჩის მონადა ხდის. თვისის ყოველ დღიურის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მწარმოებელი იძულებულია, რაც შეიძლება მალე გაყიდოს ნაწარმოები და ამიტომ უთმობს შუამავალს პირველ შეძლებულ ფასად; შუამავალი თავისს მხრით ჰყიდის ერთი-ორად და სამად; ამ შემთხვევაში წაგებულია როგორც მწარმოებელი, ისე ნაწარმოების მხმარებელი, მოგებაშია ვაჭარი, შუამავალი და ჩარჩი. შრომის ამგვარი ორგანიზაცია შეუძლებლად ჰყოფს მწარმოებელს გააუმჯობესოს თვისი ხელობა და ცხოვრებაც, რადგანაც მცირე სარგებლობა, რომელიც მას რჩება, ძლივს და ჰყოფნის ყოველდღიურს საჭიროება-მოთხოვნილებას. ამ მავნე შედეგის ასაცდენად მუშა ხალხი აარსებს მწარმოებელს ასსოციაციას, რომელსაც საგნად აქვს გააუქმოს შუამავალთა დანიშნულება და სავსებით ისარგებლოს თვისის შრომის ნაწარმოებით.

განათლებულის ქვეყნების მუშა-ხელოსანნი კარგა ხანია დაადგნენ ამ გზას და კარგი ხეირიც ნახეს: ასსოციაცია შეიქნა მათთვის საიმედო საშუალებათ ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და საჭირო იარაღად არსებობისთვის ბრძოლის დროს. ჩვენში დღემდის თუ არსებობდა ასსოციაცია, საზოგადოება ან ამხანაგობა, ერის შეგნებულს ნაწილს ეკუთვნოდა, ხოლო მუშახლოსანნი ამგვარს გზას უკანასკნელ დროს ადგებიან.

ამ მოკლე ხანში ჩვენ შემთხვევა მოგვეცა გაგვესინჯა ერთი პროექტი, რომელიც გვსურს გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს იმ განზრახვით, რომ ვისაც შეუძლია—დახმარება აღმოუჩინოს პროექტის შემდგენელთ და უმეტესად იმ მოსაზრების გამო, რომ შესაძლებელია, საქართველოს სხვა ქალაქებთა ხელოსნებმაც წაჰბაძონ თვისს ტფილისელს მოძმეთა კარგს მაგალითს.

ტფილისის ქართველ ხელოსანთ განუზრახავთ მწარმოებლის ამხანაგობის დაარსება. ამ ამხანაგობის წევრთ: დურგლებს, ზეინკლებს, მჭედელთ და სხვა ხელოსანთ საგნად აქვთ შეაკავშირონ ქართველი ხელოსანნი საერთო საქმისთვის, რომელსაც უნდა შეძლებისამებრ გააუქმოს ჩარჩთა და სხვა შუამავალთა დანიშნულება და ხელოსანი გახადოს ნამდვილ ბატონ-პატრონად თვისის შრომისა და ნაწარმოებისა. საჭირო თანხის შეგროვებას ხელოსანნი უკვე შესდგომიან და ბევრს მათგანს ნაწილ-ნაწილ შეაქვს ფული პაის საყიდლად (პაი ღირს ათი თუმანი). ძირეულის თანხის დაარსება ახლა სხვა წესითაც შეიძლება და ეს გარემოება ხელს შეუწყობს მომავალს ამხანაგობას; წესდების დამტკიცების შემდეგ ამხანაგობას შეუძლია, 1 ივნისს 1895 წ. უმაღლესად დამტკიცებულ დებულების ძალით, გრძელვადიანი სესხი მიიღოს სახელმწიფო ბანკიდგან. საჭირო თანხის შეგროვების შემდეგ ამხანაგობა იძენს უძრავს მამულს და აარსებს ქარხანას, აარსებს აგრეთვე მაღაზიას თვისისა და სხვა ხელოსანთა ნაწარმოების გასასყიდათ. ამხანაგობა აარსებს აგრეთვე სკოლას, სადაც ასწავლის წევრთა შვილებს და მოწაფეებს. წმინდა მოგება ყოველ წელიწადს იყოფა რამდენიმე ნაწილად: 65%-ით ძლიერდება ძირეული თანხა, სდგება სათადარიგო თანხა, სდგება კაპიტალი იმ წევრთა დახმარებისათვის, რომელთ რაიმე უბედურება ემთხვევა, სდგება კაპიტალი ყმაწვილთა აღსაზრდელად და დანარჩენი 35% თანასწორად იყოფა წევრთა შორის. როდესაც ამხანაგობის საქმე გაფართოვდება, ამხანაგობის საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით ენიშნება პენსია მოხუცებულთ და უძლურთ წევრებს და აგრეთვე გარდაცვალებულ წევრთა ქვრივ-ობლებს.. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ წესდება ვრცლად და კარგად არის შედგენილი, რაც მით არის სასიამოვნო, რომ წესდების შედგენაში ქართველ ხელოსანთ არავინ დახმარებია.

უეჭველია ამხანაგობის წევრნი ვერასოდეს ვერ ნახავდნენ იმდენს ხეირსა და სარგებლობას კერძო, ცალკ-ცალკე მუშაობის დროს, რამდენსაც მისცემს მათ კარგად დაყენებული მწარმოებელი ასსოციაცია. გარდა ნივთიერ გაუმჯობესებისა, ამხანაგობა ზნეობითაც და გონებითაც აღამაღლებს თვისს წევრთ, მიაჩვევს მათ საზოგადო ინტერესით ცხოვრებას, გაუღვიძებს თვითცნობიერებას და მისცემს საშუალებას ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისას. რომ ეს ასე მოხდება, ამას მოწმობს მრავალი ფაქტი ევროპის მუშა ხელოსანთ ასსოციაციების მოღვაწეობისა.

რაც შეეხება მას, თუ როგორ წავა ახლად დაწყებული საქმე, ყოველივე გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ ჩვენნი ხელოსანნი სხვაზედ ცუდად არ დააყენებენ ასსოციაციის საქმეს. ჯერ ერთი—მათის მდგომარეობის ინტერესი თხოულობს ამხანაგობის დაარსებას, რაც თვითაც შეუგნიათ, შემდეგ ისიც ცხადია, რომ ნიჭით ქართველი ხელოსანი ბევრად არაფრად ჩამოუვარდება ევროპის ხელოსანს, ხოლო ის ენერგია, რომელსაც იჩენენ ამ საქმის დამწყებნი და ის დიდი თანაგრძნობა, რომელიც მათ გამოიწვიეს თვისს ამხანაგებში, თავდებად არის, რომ მათი საქმე საფუძვლიანად იწარმოებს.

ვუსურვოთ განხორციელება ქართველ-ხელოსანთა განზრახვას და გამარჯვება მათს საქმეს.

ლალი.

◆ ◆

ფელეტონი

⁂

გინახავს შენა დანგრეული წმიდა ტაძარი
სად წირვა-ლოცვა აღარ ისმის, არც რეკავს ზარი?
სად ქებათ-ქება სულს არ ატკბობს, გულს არ ახარებს,
სად ანგელოსთ წილ ავი სული დაძრწის ხარხარებს?!.
სად შთენილს ტრაპეზს ფოთოლს აყრის ქარი ღრიალით
და თავს დასჩხავის ყორანთ გუნდი სრიალ-ტრიალით!..

—

გინახავს შენა მისაბერ გული გაუქმებული,
რწმენა გამქრალი სევდისაგან დაწყლულებული?
როს ვნებათ-ღელვით აღარა თრთის, უდროთ დამჭკნარა,
მისთვის ცხოვრებას მთლად მოუკლავს სიცოცხლის ძალა,
როს თვითვე გლოვობს თვისსა სიკვდილს, სწყევლის სოფელსა,
მწარედ დასტირის მოკლულს ძალას—ცხოველს-მყოფელსა!..

ი. ევდოშვილი.

◆ ◆

ᲒᲔᲣᲠᲥᲐᲡ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ

და

მისი აზრი კახელებზედ.

(ნამდვილი ამბავი).

სცენა ქ. ხარკოვში, კახურ ღვინის სარდაფში.

ჰო, გეურქ, აჩოლუმ!

ასე მიჰმართეს ერთხმად სამმა ახალგაზდა სტუდენტმა თელაველ გეურქას, რომელსაც ხარკოვში კახური ღვინის სარდაფი აქვს და რომელთანაც ჩვენი სტუდენტობა ხშირად დაიარება დროს გასატარებლად.

— აი, ასტვაცუ ბარი, მობრძანდით ყმაწვილებო, აბა თქვენი ჭირიმეთ! სხვა როგორა ბრძანდებით? დაბრძანდით გეთაყვა, ბიჭო ვანუა, სკამები ჩქარა.

მოწყობილობა სარდაფისა ძლიერ უბრალო, მაგრამ საკმაოდ სუფთაა იდგა ორი სტოლი და ათიოდე სკამი, კედლები მორთული იყო მრავალ იაფ ფასიან სურათებით და სხვა-და-სხვა განცხადებებით. სტუდენტების ყურადღება მიიზიდა ერთმა დიდმა, ფერადისა და უშველებელის ასოებით დაწერილმა განცხადებამ, რომელზედაც ეწერა შემდეგი: Разныя вина изъ собственныхъ имѣній Григорія № и К-⁰. მერმე-კი ორ რიგად ჩამომწკრივებული გახლდათ კახეთის თვრამეტი სოფლის სახელი, რომლებშიაც იგი თავისს საკუთარს მამულებს ასახელებდა და მათ შესაფერ ღვინის ფასს, მაგალითად:

ენისელი ბოთლი 60 კაპ.
მუკუზანი „ 45—70.
გურჯაანი „ 40—80.
კარდენახი და სხვა...

სტუდენტები მოუსხდნენ სტოლს, მოითხოვეს ღვინო და მწვადები, მიიპატიჟეს გეურქაც, როგორც „ზემლიაკი“ (გეურქა ყველა კავკასიელს ზემლიაკს ეძახდა) და გააბეს ლაპარაკი. ბაასი ქართულად გახლდათ, რადგან გეურქ ალა ცოტა მწყრალად ბრძანდება სომხურ ენასთან.

— როგორ ჰყიდი ბოთლ ღვინოს, გეურქ? ჰკითხეს ყმაწვილებმა.

— სწორედ მოგახსენოთ, აქაურებს ბოთლს სამ აბაზათ ვაძლევ, მაგრამ თქვენ, როგორც ზემლიაკს და ჩემი მიწა-წყლის ხალხს ორ აბაზათ მოგართმევთ. ყველამ მადლობა გადაუხადეს ჩვენს ფილანტროპ გეურქას.

— ჩემ მურაზს გეფიცებით ყმაწვილებო, მოტანა რომ ძვირად არ მიჯდებოდეს, მუქთად მოგართმევდით! ღვინო მე არაფრად მიღირს, მაგრამ მოტანა, ეგ ოხერი მოტანა მიჯდება ძვირად.

— რატომ, გეურქ, ღვინოც ხომ ფულითა გაქვს ნაყიდი.

— ნაყიდი, იმათმა (ქართველების) მზემ სულ ასიგნაციებს უთვლი აი, მთელი კახეთი სულ ჩვენების (სომხების) ხელში არ არის, ტუტუცი ქართველი გლეხი და თუნდ კნიაზიც განა ჩვენთვის არა მუშაობს?

— არ მესმის, გეურქ, ერთი ამიხსენი, როგორ ან რათ მუშაობს თქვენთვის ქართველი გლეხი ან თავადი. ჩააცივდა ერთი სტუმართაგანი.

— ვა, შე დალოცვილო, რა დიდი გაგება მაგას უნდა, კაცი უნივერსიტეტში სწავლობ და ეგეც არ გესმის. გაკვირვების კილოთი უპასუხა მან.—აი თუ გინდა აგიხსნი: ჩვენ, როგორც მოგეხსენება ვაჭარი ხალხის ამბავი, ყოველთვის ფული გვაქვს ხოლმე. ქართველი-კი ფულის მტერია, იმას თავის დღეში გროშს ვერ უპოვნი. იმათ მოუკვდებათ ვინმე, ან ქორწილი თუ აქვთ, ან არა და როცა „პოდატსა“ სთხოვენ, რასაკვირველია, თუ-კი არ ექნება, საიდგან მისცემს, გასტუმრება-კი უნდა; ამ დროს სუყველანი ჩვენკენ გამორბიან: აბა შენი ჭირიმე ნათლი-ჯან, გაჭირებაში ვარ, საქონელს მიყიდიან და მიშველეო. ჩვენც ვხედავთ, მართლა უჭირს, ვიღებთ და ვაძლევთ ხოლმე ორიოდე-სამ თუმანს. რასაკვირველია,

ახალი ამბავი

—

⁂ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დაჰრთო ადგილობრივს სამოსწავლო ოლქს, რათა ამ უკანასკნელმა საერო განათლების სამინისტროს წინაშე იშუამდგომლოს და მომავალ სასამწლეო საერობო ხარჯთ აღრიცხვაში შეიტანოს ტფილისის გუბერნიის ზოგიერთ სამეურნეო განყოფილებათათვის დასახმარებლად ფული, სახელდობრ: ახალ ციხისა, ახალ-ქალაქისა და მაჩხაანის სკოლებისათვის ათას-ათასი მანეთი.

⁂ ჩვენ მივიღეთ იაფ ფასიან წიგნების გამომცემლებისაგან შემდეგი წერილი:

„ბატონო რედაქტორო!

იაფ-ფასიან სახალხო წიგნების გამომცემლებს მოუვიდათ კნ. ნინო ანდრონიკაშვილისაგან სიღნაღში გამართულ წარმოდგენიდგან შეგროვილი 63 მანეთი, რომლისთვისაც დიდს მადლობას უძღვნიან, როგორც სიღნაღის საზოგადოებას, რომელმაც თავისი წვლილი არ დაიშურა და თანაუგრძნო ამ კეთილს საქმეს, აგრეთვე იმათ, ვინც შრომა გასწიეს და ითავეს ეს წარმოდგენა.

⁂ მოგვივიდა ახლად დასტამბული წიგნი: «ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება. აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანის მიერ. გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან“. წიგნი ღირს მანეთად, შეიცავს 336—8 გვერდს. წიგნის ყდაზედ აღნიშნულია, რომ „კალმასობის“ გამოსაცემად ხელის მოწერა უკვე გამართულია და ეღირება ერთი მანეთი.

⁂ ბელაგორსა და მარელიის შუა ისევე იმ ადგილებში, სადაც ამ ორის დღის წინად ჩამოწვა მიწის ზვავი, კიდევ ჩამოწვა 30 თიბათვეს, დილის 10 საათზედ და გუშინ, დილის 7 საათზედ, კიდევაც გასწმინდეს, რადგანაც ჯერ მუშები ისევ იქ იყვნენ.

⁂ სომეხთა კათალიკოსს მოელიან 3 ივლისს ბათუმში, რომელიც ამ ჟამად ყირიმშია. ბათუმიდგან კათალიკოსი სადგ. მიხაილოვსა და ბორჯომზედ გამოივლის, მივა ახალციხესა და ახალ-ქალაქსა და აქედგან ისევ ტფილისს ჩამოვა, ვიდრე ეჩმიაძინს წავიდოდეს.

⁂ თავ. სუმბათაშვილის ქარხნის დაქცევის დროს დაზარალებულ მუშათა ოჯახები, როგორც ამბობენ, 15 ათასს მანეთს ედავებიან ქარხნის პატრონსა.

⁂ შორაპანი: 30 თიბათვეს ღამით შავის ქვით დატვირთული მატარებელი მოდიოდა, ვაგონს ღერძი გაუტყდა და სამი ვაგონი ლიანდაგს გადასცდა და დაიმტვრა. ზედ მყოფს ხალხს არა დაჰშავებია-რა.

⁂ სიღნაღის მაზრის ს. ველისციხესა და ბორჩალოს მაზრის ახალშენს ელისაბეტალში ყვავილი გაჩენილა.

⁂ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მოურავის თანაშემწედ დანიშნული ბ-ნი პავლოვსკი უკვე ჩამოვიდა ტფილისს და თავისის თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

⁂ 2 განყოფილების სასამართლოს გამომძიებლის მიერ მოსასპობად ოლქის სასამართლოს ბრალმდებელთან წარგზავნილი საქმე ორბელიანის სახლის ჩაქცევის შესახებ გამომძიებელს უკანვე დაუბრუნდა გამოსაძიებლად და დამნაშავეთა პასუხის გებაში მისაცემად.

⁂ ძეგამი: გუშინ-წინ, 30 თიბათვეს, ღამის 2 საათზედ, ლიანდაგის ახლოს ნახეს გვამი რკინის გზის დარაჯის ლევან სემიანინისა. საცოდავი მატარებელს თურმე ელოდა და ლიანდაგზედ დაეძინა.

1870 წლებში ჟურნალ „მნათობში“ იბეჭდებოდა ერთი ჩინებული წიგნი, „ბავშვების მოვლა“, თხზულება ინგლისის დედოფლის ექიმის კომბისა, თარგმანი თ. ვასილ გიორგის ძის მაჩაბლისა. ეს წიგნი და თარგმანიც იმდენად კარგი იყო, რომ წიგნი იმავე დროს ცალკეც გამოიცა. დღეს ამ წიგნის ჭაჭანება აღარ არის, ამიტომ ამის გამოცემა ზ. ჭიჭინაძეს განუზრახავს, რის დასაბეჭდად თ. ვასილ მაჩაბელსაც ნება მიუცია. წიგნი შემოდგომამდის გამოვა; ასე რომ შემოდგომამდის ორი სამეცნიერო წიგნი გამოიცემა, სახელდობრ „ლუკმა პურის ამბავი“ თხზულება მასესი, რომლის ნახევარი უკვე დაბეჭდილია და „ბავშვების მოვლა“ კომბასი.

⁂ ერის კაცს დაუწერია ქართველთა დიდად გამოჩენილის ისტორიულ მოღვაწის სოლომონ ლეონიძის ცხოვრება, რომელიც მეფ. ერეკლეს მსაჯულად ჰყავდა. ამ აღწერაში შეკრებილია ყველა ის მასალები, რაც კი ამ შესანიშნავის კაცის ცხოვრებაზედ სადმე რამე მოიპოვება. ამიტომ საჭიროა, რომ თუ ვისმეს რამე ცნობები მოეპოვება, ლეონიძის შესახებ ან მისი ლექსები, ათხოვონ. წარმოდგენა შეიძლება „წერა-კითხვის სამმართველოში“.

⁂ თელავი: კვირას, 25 ივნისს, აქაურ სცენის მოყვარეთ გამართეს წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნა ისტორიული დრამა „რუსთაველი“ კ. მესხისა და ვოდევილი „სუსტი მხარე“. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, მოთამაშეთ რიგიანად შეასრულეს თავიანთი როლები, მაგრამ მაინცა-და-მაინც ეტყობოდათ, რომ კარგი ხელ-მძღვანელი არა ჰყავნდათ.

⁂ კისლოვოდსკი: კისლოვოდსკი წელს სულ სხვა სანახავია. ამ მოკლე ხანში აქ იმდენი რამე გაკეთდა, რომ იგი სრულებით გამოიცვალა. ყოველს ქუჩაში მილის წყლები გამოიყვანეს. გააკეთეს რამდენიმე სასეირნო ბაღი, ოთხი მშვენიერი წყლის აუზი, გაანათეს ელექტრონით. ნაზრანის წყლის ვანებს კიდევ მოემატება ივლისის პირველიდგან თექვსმეტი ვანა.

⁂ იქიდგანვე: ოცდა-ხუთს ივნისს აქ ბუხარის ემირი მოვიდა.

⁂ სოფ. სორი: ამ სოფელში მცხოვრებლებს გლეხებს ორს ძმას ვენახში მიუხტნენ ორი-აზნაური გვარად ჯაფ..- საწყალს გლეხებს ჯერ ჯოხით სცემეს, მერე ერთმა მათგანმა იძრო ლეკური და მძიმედ დასჭრა უმცროსი ძმა.

◆ ◆

დამაკვირდი

—

ვეფხვის აღერსი, კაცის უანგარობა და ქალის ფიცი—თანასწორად დასაფასებელია.

**

ქალის გონიერება კაცზედ იმითი მტკიცდება, რომ ცოლს არ სჯერა ქმრის ერთგულება, ქმარს-კი ცოლისა—ყოველთვის.

**

ჯაშუშის სინიდისი ცალ ფულად ღირს—იმის დამქირავებლისა-კი არც იმად.

თრაზიბულ.

◆ ◆

კორესპონდენცია.

—

სოფ. ბულუხაური, (გური). გვეყურებოდა, რომ მაზრის უფროსის განკარგულებით გურიაში გზები კეთდებაო და კიდევაც მართალი ყოფილა. ყველა კუთხე და სოფელი გურიისა ღირსებია გზების მოკენჭვას და შეკეთებას, მხოლოდ სოფ. ბულუხაური დარჩენილა უყურადღებოდ, რადგან სამთა საზოგადოებათა შუა ადგილი ყოფილა: ჯუმათისა, ჩოჩხათისა და ჯურუყვეთისა. სამივე საზოგადოების დაჩა ამ სოფელს აკრავს, მაგრამ არც ერთს საზოგადოებას არ უკისრია აქ გზის შეკეთება და მოკენჭვა, რადგან საპაძვოთ ყოფილა. ამ სოფელში გაივლის ერთი დიდი გზა, რომელიც მოდის ქ. ფოთიდგან და მიდის ქ. ოზურგეთში. ჩოჩხათის საზოგადოებას მოუკენჭავს ეს გზა ამ სოფლამდე და ჯუმათის საზოგადოებას ამ სოფლიდამ, ასე რომ გაუკეთებელია გზა სამი ვერსის მანძილზედ, სადაც შესაძლებელია გაიაროს კაცმა მხოლოდ ზაფხულში და ზამთარში-კი შეუძლებელია აქ გარება არა თუ ფეხით, არამედ ცხენითაც, რადგან იცის დიდი ტალახი და გზა მთელს ზამთრის თვეებში გაუსვლელი არის. საჭიროა ამ გზას ყურადღება მიაქციოს მაზრის უფროსმა და ეს გზა მოაკენჭვიოს სამივე საზოგადოებას ჩაზამთრებამდის, თორემ მერმე მუშაობა ამაო იქნება; თუნდ საქენ გზაზედ ხუთ-ხუთი სჟენი კენჭი დააყარონ, მაინც გაიარს-

ბართლომე ჩხარტიშვილი.

◆ ◆

დებულება წვრილის კრედიტის დაწესებულებათათვის.

უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა 1 ივნისს, 1895 წ.)

(დასასრული *).

19. საკრედიტო ამხანაგობათა და შენახველ კასების მოქმედების და მოსპობის წეს-რიგი ემორჩილება საზოგადოდ დაწესებულს დადგენილებასა და კანონებს (მუხ. 75—133 განყოფ. X საკრედ. წესდ., კან. კრება ტ. XI ნაწ. II, 1893 წ. გამ.)

20. საკრედიტო ამხანაგობის წესდებაში უნდა იყოს: ა) სახელწოდება ამხანაგობისა და ადგილი, სადაც ის არსდება; ბ) ძირეულ თანხის შექმნის წესი; გ) ჩამოთვლა იმ ოპერაციათა, რომელიც ამხანაგობათ კანონით აქვთ მინიჭებული; დ) რა რიგად შეინახება ამხანაგობის თანხები; ე) რა წესითა და პირობით აირჩევა ამხანაგობათა მონაწილე, აგრეთვე ამხანაგობიდან მათის გამოსვლის ან გამორიცხვის წესი; ვ) ამხანაგობათა მონაწილეების პასუხისგება; ზ) რა წესით მიიღება შესანახად ფული, რა წესით დაუბრუნდება პატრონს, სარგებლის წეს-რიგი; ჱ) რამდენი სურს ამხანაგობას გასცეს სესხად ან მიიბაროს ფული; თ) რა წესით გამოიკვლევა ამხანაგობის თითეულის მონაწილის კრედიტი, რა წესით გაიცემა სესხი, მიიღება შესანახად ფული და გარდაჰხდება მსესხებელთ ვალი; ი) რა წესით მოეწყობა გაცემულ სესხის თავდებობის საქმე; ია) სათავდარიგო თანხის შედგენის, შენახვისა და დანიშნულების წესი როგორც ამხანაგობის მოქმედების დროს, ისე მოქმედების მოსპობის შემდეგ; იბ) რა წესით გამოიანგარიშება წმინდა მოგება და ზარალი ამხანაგობისა, როგორ განაწილდება მოგება და დაფარულ იქნება ზარალი; იგ) ამხანაგობის მართვა-გამგეობის რიგი და მმართველთა ამორჩევა, აგრეთვე მათის მოვალეობის აღნუს-

---

*) იხ. „ივერია“ № 137.

ზარათსაც ვართმევთ და ნეუსტოიკასაც ვუწერთ შიგ, თორემ შენი მტერი იმას ჩქარა ვერ დაახწიო ფული. უნეუსტოიკოთ ფულის გასესხება მაინც რა ხელს მოგცემს, თუ ერთი ათად არ გადაბრუნდა წელიწადში ფული, სწორედ მოგახსენოთ ვაჭარს ძლიერ გაუჭირდება. ნეუსტოიკაც არ არის ძლიერ მძიმე მოვალესთვის, რომ იტყვიან ღვთიურია: თუ დროზედ არ გარდიხადა ვალი, თუმანზედ თვეში სამ-ოთხ მანეთს ვაწერთ, ისე რომა წელიწადში თუმანი თავის სარგებელ ნეუსტოიკათი რვა-ცხრა თუმანს შეადგენს ხოლმე.

— მერე განა შეძლება აქვს გლეხს, თავის დროზედ გადაგიხადოს მაგოტელა ფული?

— მოიცადეთ, სუყველაფერს მოგახსენებთ. დრო რომ მოვა ვალის გადახდისა, გლეხები მოვლენ ხოლმე ხან-დი-სხან და მოაქვთ თავიანთი ვალი, მაგრამ მე შინ არ დავუხვდები და ისევ რჩება მეორე წლამდის.

— შენ განგებ არ უხვდები სახლში?

— ვა, რა ვიცი, ეხლა აჩჩოტებს ხომ ვერ ჩაგაბარებ, კაცი ვარ, ხან სადა ვარ იმ დროს ხან სად, ემაგრე გაივლის ხუთი, ექვსი წელიწადი. ყოველ წელიწადს მოსავლის დროს მივდივართ მოვალესთან და სარგებელში ვიღებთ ღვინოს, პურსა და გლეხს ხომ მეტიც არაფერი აბადია.

— მერე მაგეებსა ჰყიდით და ჰმდიდრდებით!

— ვა, მაგრე რომ არ იყოს, ახლა სამი პადვალი არ მექნებოდა. ღვთის მადლით ეხლა სამ ადგილასა მაქვს ვაჭრობა გაჩაღებული: ერთი აქა, ერთიც ტფილისში და ერთიც როსტოვში. როსტოვში უფრო დიდი ვაჭრობა გვაქვს და ჩემი უფროსი ძმაც იქ არის.

— მერე, ახლა ხომ ახალი კანონი გამოვიდა, რის ზევითაც პროცენტი არ შეიძლება ჩაეწეროს მოვალეს?

— ეჰ, შე დალოცვილო, მაგის დარდსაც გავუძლებთ. ქართველი გლეხისთანა უპედური კიდევ იქნება ვინმე დუნიაზედ, რაც გინდა ის ჩაუწერე, ვინ არის შენი დამშლელი. ეგრე შენი ჭირიმე, გაივლის რამდენიმე წელიწადი, მაშინ ჩვენც დაგვჭირდება ხოლმე ფული, ჩვენც ხალხნი ვართ, ჩვენც ჭამა-სმა გვინდა; მივდივართ და ვთხოვთ ჩვენი ოფლით ნაშოვნ გროშებს. გლეხს როგორც მოგეხსენებათ, მანამდის იასაულათ არ ჩაუდგები, მინამდის ვერაფერს გაარიგეფ. მოხდება, რომ ათი დღე ან ორი კვირა იმასთანა ვცხოვრებთ, ჩვენც, რასაკვირველია, და ჩვეულები ვართ კარგ ჭამა-სმას, გლეხმაც კარგად იცის, რომ სოვდაგარს პატივი უნდა და ისიც გვასიამოვნებს; ასე და ამრიგად ჰამ დროს ვატარებთ და ჰამ ანგარიში მოგვყავს სისწორეში. ვთვლით, ვთვლით და მერე იმდენი შესდგება ხოლმე ხანდისხან, რომ არა თუ დედულ-მამული და სახლი გაუყიდო, არამედ ცოლშვილიც რომ ზედ მიაყოლო, მაინც ვალს ვერ დაჰფარავს.

— მერე მუქთადა სჭამთ ხოლმე მთელი ორი კვირა გლეხისას? ჩააცივდა ერთი სტუდენტთაგანი.

— ვა, მაშ კრედიტორიც ვიყო და ფულიც ვაძლიო? მოვალეა, ჯანი გაიგდებინოს და მაჭამოს, მერე სჩოტს რომ პორიადკაში მოვიყვანთ და გაიგებს გლეხი, რომ ორი სამი თუმნიდგან ახლა სამოც-ოთხმოც თუმნამდის ასულა, მოჰყვება ღრიალს „ვაიმე ცოლო და შვილო დაღუპულო.“

ვეუბნები:

— ვა, კაცო, შე მამაცხონებულო, თუ ბლავილი არ გინდოდა, თავის დროზედ მომცემდი ჩემს ოხერს და პრწნეირ-მეთქი. მერე დამიწყებს ხოლმე ღრეჯას: „ნათლი, შენი ჭირიმე, შენი ღმერთისთვის, შენი შვილების მურაზისთვის ნუ დაგვღუპავ, ნახევარს მაინც დაგვჯერდიო“. მაგრამ ტუტუცი ხომ არა ვარ, ჩემის ოფლით ნაშოვნი ვაჩუქო რამე. მეც რა წავადგვით მიშოვნია ორიოდე თუმანი. მერე ამდენი ფულის გადახდას რომ ვერ შესძლებს ხოლმე, ან ვენახი ექნება, ან სახლი და ამითი გვისტუმრებს.

— მერე განა სინიდისიერად იქცევით მაგრე, რომ საწყალს გლეხს უსახლ-კაროთა სტოვებთ?

— ვა, რა სვინდისი, შე დალოცვილო, ჩვენც ხალხნი ვართ, ჩვენც ჭამა-სმა გვინდა. სვინდისი რა შუაშია? ახარ! შენ რომ აქ სწავლობ, მამიშენის ფულს არა სჭამ? ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს და სუფსარქისამ აცხონოს, საწყალი მამაჩემი (ამ დროს გეურქამ ღვინო დაასხა პურზედ), ის უფრო ყოჩაღად იქცეოდა. თურმე სოფელ-სოფელ დაიარებოდა და ყველას, გინდა თუ არა, ნათლიად უხდებოდა, მთელ-კახეთში სოფელი არ დარჩენილა, რომ 10—15 ნათლული არა ჰყავდეს. ემაგრე დაუმეგობრდებოდა ოჯახს, მერე ფულს ასესხებდა და ნელა-ნელა იმათი მამულ-დედული სულ მამიჩემის ხელში გადმოდიოდა. საწყალს მამას უწინ თურმე პური არა ჰქონდა საჭმელად და ფეხშიშველა დაიარებოდა ხოლმე სოფლებში, კვესა და ნემსებსა ჰყიდდა, მერე-კი რომ მოკვდა, ღმერთმა აცხონოს, სულ ცოტა ორი ათასის თუმნის ავლა-დიდება დაუტოვა. აქ კი გააწყვეტინეს ჩვენს „ზემლიაკს“ გეურქ ალას და კახეთის მამულეს.

ჰორაციო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვა (მუხ. 10); იდ) ანგარიშთა საზოგადო ხასიათის აღნიშვნა; იე) ამხანაგობის მოქმედების მოსპობის დაახლოვებითი წეს-რიგი (19 მუხ.)

21. შემნახველ-გამსესხებელის ამხანაგობისა ან კასსის წესდებაში მე 20 მუხლში ჩამოთვლილ პუნქტები გარდა უნდა იყოს აღნიშნული პაის ღირებულება და რაოდენობა (მუხ. 6) და აგრეთვე რა წესით მიიღება პაი ან დაუბრუნდება გამოსულთ და გამორიცხულთ.

22. სასოფლო ან სამამასახლისო ბანკებისა და კასსების წესდებაში უნდა ჩამოთვლილი იყოს ყველა პუნქტები მე-20 მუხლისა გარდა პუნქტებისა ე. და კ.

23. საკრედიტო ამხანაგობათა, შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა და კასსების საზოგადო მართვა მინდობილი აქვს ფინანსთა სამინისტროს; ხოლო სასოფლო ბანკების კასსებისა — შინაგან ან სამხედრო საქმეთა სამინისტროებს.

24. წვრილის კრედიტის დაწესებულებანი ვალდებულნი არიან ბრძანებისამებრ წარუდგინონ ფინანსთა სამინისტროს ყველა ცნობა თვისის საქმეების შესახებ.

25. ფინანსთა სამინისტროს ნება აქვს მოახდინოს რევიზია ყველა საკრედიტო დაწესებულებათა; მხოლოდ სასოფლო ბანკების რევიზიის შესახებ თანხმობა უნდა აიღოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან.

26. ფინანსთა მინისტრს, თუ საჭიროდ დაინახავს, შეუძლია აღუკრძალოს საკრედიტო დაწესებულებათ მოხდენა ოპერაციებისა, რომელნიც ჩამოთვლილი არიან პუნქტიდგან დ პუნქტამდე ზ მე-13 მუხლისა, დანიშვნა ვადისა და წესისა ამ ოპერაციების მოსასპობლად.

27. პირდაპირი ზედამხედველობა საკრედიტო ამხანაგობათა ეკუთვნის სახელმწიფო ბანკის აგენტებს და მათს თანაშემწეებს და აგრეთვე ამ ბანკის ადგილობრივ დაწესებულებათა სხვა მოხელეებს, თანახმად 19 მუხ. და ამ მუხლთან დამატებულ შენიშვნისა, საზოგადო მიმართულება-კი თვით სახელმწიფო ბანკისაგან მიეცემა მათს ზედამხედველობას.

28. საკრედიტო დაწესებულებათა ინსპექტორების მოვალეობას შეადგენს (27 მუხლ.): 1 რევიზია კასსებისა, ანგარიშისა და საქმის წარმოებისა; 2) თვალ-ყურის დევნება, რომ კანონი და წესდება არ იქმნენ დარღვეულნი; 3) მოწვევა საჭიროებისამებრ ამხანაგობათა საგანგებო საზოგადო კრებებისა.

29. თუ ინსპექტორმა უწესოება აღმოაჩინა საკრედიტო ამხანაგობის საქმის წარმოებაში და ანგარიშში, მას შეუძლია დროებით დაითხოვოს საქმის მწარმოებელნი ამხანაგობისა და მათი საქმეები სხვებს ვისმე მიაბაროს, რომ საქმის წარმოება არ შესწყდეს.

30. დაწვრილებითი წესნი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ასრულებდნენ ინსპექტორები თავისს თანამდებობას, აღნიშნულ იქნებიან საგანგებო ინსტრუქციაში, რომელიც განხილულ იქმნება სახელმწიფო ბანკის საბჭოს მიერ და დამტკიცებული ფინანსთა მინისტრისაგან.

◆◆

რუსეთის ცხოვრება.

პოლონეთის ქალაქებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროში მზადდება განსხვავებული საქალაქო დებულება, რომელიც შემოდგომისთვის იქნება მზად და, საგანგებოდ აღმორჩეულის კომისიის განხილვის შემდეგ, წარედგინება სახელმწიფო საბჭოს.

—

გამოირკვა უკვე, რომ სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის გუბერნიებს მოუსავლობა მოელის; შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა მზადებას, რათა დამშეულთ დროზედ და საკმარისად აღმოეჩინოს დახმარება.

—

ტაშკენტის ადგილობრივს მმართველობას უმაღლესის მთავრობისათვის უთხოვნია — ნება მიეცეს ტაშკენტის რეალურ სასწავლებელს ინგლისურისა და თათრულის ენის სწავლებისა, რადგანაც ამ ქვეყანაში აუცილებლად საჭიროა ამ ორის ენის ცოდნა.

◆◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

გაზ. „ფიგარო“-ში ამ ბოლო დროს „გერმანია და რუს-ფრანგთა კავშირი“-ის სათაურით დაბეჭდილია მეთაური წერილი „ფიგაროს“ ერთის თანამშრომლისა, რომელიც ცნობილია კარგ დიპლომატად და «Whist» ის ფსევდონიმითა სწერს. ეს წერილი მეტად საყურადღებოა და უფრო-კი ამ ჟამად, როდესაც ის ხმა, ვითომ გერმანიამ ინგლისის მხარე დაიჭირაო, ასეთი უსაფუძვლო დგება, მტყუნდება. „Whist“-ი ამბობს:

> თუ რომ არიან მართლა ისეთი გულუბრყვილო ფრანგები, რომელთაც ადვილად შეუძლიანთ დაიჯერონ, რომ საფრანგეთსა და რუსეთს შორის მართლა არსებობს რაიმე კავშირი, რომელსაც აზრად გერმანიის პოლიტიკის წინააღმდეგობა აქვს, მაშინ შემიძლიან ფორმალურად ვაცნობო მათ, რომ იგინი სცდებიან. თუ რომ მოხდება და გერმანია გარეშე გარემოებათა გამო ველარ შესძლებს თავისუფლად მოქმედებას ჩვენ წინააღმდეგ, მაშინ, რასაკვირველია, არავითარი ძალა, არც ღვთაებრივი და არც კაცობრივი, ხელს ვერ შეგვიშლის რომ ბრძოლაში მონაწილეობა მივიღოთ და ფრანკფურტის ხელშეკრულობა დავარღვიოთ. გერმანელებმა ეს კარგად იციან და კილის დღესასწაულზედ რაც უნდა გული გაგვეერთებინა მათთვის, მაინც ვერაფრით დავაჯერებდით, რომ ჩვენ ამ ჟამად ნამდვილად ვმეგობრობთ მათ, არავითარი დაფარული შური არა გვაქვს. დრომდის-კი სიცოცხლეა საჭირო, აუცილებელია განვითარება და აი მიტომ რუს-ფრანგთა კავშირი უნდა იყოს მფარველი ამისი. ეს კავშირი ომს მხოლოდ იმ შემთხვევაში განიზრახავს, როდესაც თავს ვინმე დაესხმის, ხოლო თვით არასოდეს არ ასტეხს პირველად ომს.
>
> აქედგან ნათლადა სჩანს, რამდენად ვასრულებთ ფრანკფურტის ხელშეკრულობასა და მის მიერ დადებულს საზღვრებს. მაშ ახლა გაუგებარი აღარა უნდა იყვეს-რა. ჩვენ რომ მოვთხოვოთ რუსეთს მაგ., რომ ელზასისა და ლოტარინგიის უკან დაბრუნებაში დაგვეხმაროს, ის უთუოდ ცხვირს გვიჩვენებს და ჩვენც აგრეთვე მოვიქცეოდით, რომ რუსეთმა ბერლინის ტრაქტატის წინააღმდეგ იარაღის ხმარება გვთხოვოს. ასე რომ ეს რუს-ფრანგთა კავშირი ევროპის ტერრიტორიის statu quo-თა: არც მეტი-რამ და არც ნაკლები.
>
> ასეთია აწმყოს კანონი. სამაგიეროდ ამას-კი წინააღმდეგი არა ექმნება-რა, რომ თუ რომელიმე სახელმწიფო ორივესათვის ერთნაირად საშიში იქმნება, მაშინ იგინი ერთად ეცდებიან მშვიდობიანობა დაამყარონ. კარგია თუ ცუდი, ეს-კი ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი საახალშენო მოქმედება ჩქარით განვითარდა ამ თხუთმეტის წლის განმავლობაში და იმ მხარეში, სადაც დიდი გავლენა გვქონდა, დღეს მხოლოდ უსიამოვნება-ღა გვხვდება. თუ რომ ამ გავლენის აღსადგენად ჩვენ დაგვჭირდება იმ მთავრობის დახმარება, რომელმაც მრავალი ტანჯვა გვაწვია, აქ ცუდი და დასაძრახი არა არის-რა?!

შემდეგ განაგრძობს „Whist“-ი:

> ჩვენ ეხლა კვლავ დაგვიბრუნდა ძველი გავლენა და ევროპისა, აფრიკისა, თუ აზიის საქმეები უჩვენოდ არა სწყდება; ჩვენ ეხლა თავისუფლად შეგვიძლიან მოქრაობა, რადგანაც რუსეთთან დაახლოვებამ ძლა გაგვიორკეცა. შესანიშნავი საქმე დავაგვირგვინეთ ჩვენის მოკავშირე რუსეთისა და გერმანიის დახმარებით, — სიმონოსეკის ხელშეკრულობა შესდგა; მაგრამ უფრო დიდის როლისათვის ვემზადებით ამ ჟამად; ხოლო ეხლა გერმანიის ადგილს ინგლისი დაიჭერს, — ეს იქნება სომხეთა საქმე. როზბერის სამინისტროს განზრახვა აქვს საქმე გაძაფოს ოსმალეთის აზიაში და ჯედის სისხლის ღვრის გამო ისეთივე მიმართულება მისცეს საქმეს, როგორი შედეგიც ამ თვრამეტის წლის წინად მოჰყვა „ბულგართა მხეცობას“. მაგრამ რუსეთი ოსმალეთის მფარველობას აპირებს ამ შემთხვევაში ინგლისის წინააღმდეგ და ჩვენც მხარს ვუჭერთ სულთანს, რომ ლონდონის კაბინეტის დაფარული განზრახვა გავაცრუოთ. შემდეგ-კი იქნება ისეთი წამიც დადგეს, როდესაც ეგვიპტის საქმე ამ გამოურკვეველ მდგომარეობიდგან გამოვა და ევროპის საგნად გახდება. მაგრამ თუ რუს-ფრანგთა კავშირს ეს განზრახვა აქვს, მაშინ აუცილებლად საჭიროა გერმანიის მხრივ დახმარება, რომ ამით იტალია შეიზღუდოს, რომელიც ინგლისს ემხრობა. განა ამას კიდევ დამტკიცება უნდაო, ამბობს წერილის ავტორი?

—

აქაურ სამეურნეო გაზეთს სწერენ ლეჩხუმიდგან: „წელს ჩვენში იმისთანა თბილი ზამთარი იყო, რომ საქონელი იკვებებოდა ცის ქვეშ მინდვრის ბალახით. გაზაფხულის პირში ცოტა არ იყოს ცივი დღეები დადგა, მაგრამ მალე სიცივე შეუწყვეტელმა წვიმებმა შესცვალეს, რის გამოც მინდვრის მუშაობა მხოლოდ მარტის უკანასკნელს დღეებში დაიწყეს გლეხებმა. მიუხედავად ამისა ღომი და სიმინდი მალე ამოვიდა, ვაზი კარგად შეიფოთლა და მოსავალს კარგი პირი უჩანდა. თუმცა მაისშიაც წვიმები მოდიოდა, მაგრამ წვიმიანს დღეებს მზიანი დღეები სცვლიდა, და ამით მოსავალს ერთი ორად ემატებოდა.

მაგრამ დადგა ივნისი და დაიწყო დაჟინებული წვიმები. ეს თორმეტი დღეა, რაც მზე არ დაგვინახავს. პირველსა და ხუთს ივნისს სეტყვაც-კი მოვიდა, მაგრამ ამ სეტყვამ მაგდენი ვერ აზიანა-რა მოსავალს. ხოლო წვიმებისა გამო-კი ვერც ღომი გამარგლეს, ვერც სიმინდი გათოხნეს, რისთვისაც როგორც ღომის ისე სიმინდის ზრდა შესდგა. ლობიოს ხშირი წვიმებისა გამო ფოთოლი გაუყვითლდა, ვაზს ყვავილი სცვივა. ერთი სიტყვით, მოსავალი ფუჭდება, და გლეხებს ხელიდგან ეცლებათ წლის სარჩო. ისინი შიშობენ შარშანდელი დღე არ დაადგეთ კიდევ.

სიმინდი ფუთი ექვს აბაზიდგან ექვს აბაზ უზალთუნამდე ისყიდება. პური — ექვს აბაზ უზალთუნიდგან შვიდ-აბაზამდე, ღომი რვა აბაზ უზალთუნიდგან ცხრა აბაზამდე და ლობიო თორმეტ აბაზიდგან ცამეტ აბაზამდე.

მაისის უკანასკნელს რიცხვებში მილდიუმ იჩინა თავი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ ვრცელდება. დადგება თუ არა მზიანი დღეები, იგი მსწრაფლ მოედება მცენარეულობას, მაგრამ ამისთვის არავინა ზრუნავს.

◆◆

უცხოეთი

—

ინგლისი. ყოველთვის არჩევნები წინ გაზეთები დაახლოვებით ანგარიშს ადგენენ ხოლმე, თუ რომელი პარტია რამდენს წარმომადგენელს შეიძენს ან დაჰკარგავს. ახლა გაზეთები ვერ ბედვენ ამგვარ ანგარიშების შედგენას. „ტაიმსი“ ამბობს — პოლიტიკური მდგომარეობა ისეთნაირად დაიხლართა ინგლისში, რომ არავითარი წინასწარმეტყველება არჩევნების შესახებ არ მოხერხდებაო.

—

კონსერვატორთ წრეებში ამ ბოლო დროს ლაპარაკობდნენ, რომ გლადსტონმა შესცვალა თვისი აზრი ირლანდიის შესახებაო. ამ მითქმა-მოთქმის მოსასპობლად ვესტ-გარტპულის ნადიმზედ წაკითხულ იქმნა გლადსტონის წერილი, რომელშიაც „დიდებული მოხუცი“ ცხარედ ეწინააღმდეგება გავრცელებულს ხმებს და ამბობს, რომ წინანდელზედ უფრო ახლაა დარწმუნებული, რომ ირლანდიისთვის თვითმმართველობის მინიჭება სასარგებლო იქნება ორთავე ერისათვის. გლადსტონი ათავებს წერილს მხურვალე სურვილით, რომ მალე დაკმაყოფილებულ იქმნას ირლანდიის სამართლიანი მოთხოვნილება.

—

საფრანგეთი. პარისის ქალაქის საბჭომ საგანგებო სხდომაზე დიდი პატივი-ჰსცა გამოჩენილს მეცნიერს რუს, რომელმაც ხუნაგის წინააღმდეგი საშუალება აღმოაჩინა. ქების შესხმის შემდეგ, საბჭომ მიართვა რუს ორი ოქროს მედალი. რუმ განაცხადა, რომ ეს პატივი და მედლებიც ეკუთვნის პასტერს და არა მას, რადგანაც მე, დააბოლოვა რუმ თვისი პასუხი, ყოველთვის პასტერის ხელმძღვანელობით ვმუშაობდიო

◆◆

ინდოელ ჟურნალისტის აზრი ინგლისელების შესახებ.

ინდოელმა ჟურნალისტმა მალაბარმა გამოსცა ერთი საინტერესო თხზულება, რომელსაც შემდეგი სათაური აქვს: «რა რიგად წარმოდგენილი აქვთ ინდოელებს ინგლისელთა ცხოვრება». მალაბარს თავისის თხზულების საგნად განსაკუთრებით ინგლისის დედა-ქალაქი ლონდონი აურჩევია, რადგან ლონდონის მზე არ მზეობს თურმე მალაბარისათვის და ამიტომაც არის, რომ ეს ჟურნალისტი საშინელის სიძულვილით იხსენიებს ლონდონის მზეს. გარდა ამისა, ინგლისის ქუჩებზედ აზღვავებულ ხალხის გაფაციცებით მოძრაობა, ხმაურობა და მოუსვენარი ცხოვრება, არა თუ გასართობს საგანს წარმოადგენს მალაბარისათვის, პირ-იქით, მწუხარებით აღნიშნავს-რა ამას, იგი დასძენს: საბრალო ხალხი ტყავს იძრობს, წვალობს და მხოლოდ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ფული შეიძინოს, რადგან მთელს დედამიწაზედ იმათს ერთად-ერთს ბედნიერებას მხოლოდ ფული შეადგენს. მერე რა? მიაღწევენ თავისს საწადელს, შეიძენენ სიმდიდრეს, მაგრამ ამ ბედნიერებით-კი ვერა სტკბებიან, რადგან მისს მოპოვებას ანდომებენ თავისს ძალ-ღონეს, თავისის სიყმაწვილის საუკეთესო წამებს.

ინგლისში არავინ კმაყოფილი არ არის თვისის ბედისა, ყველას უნდა რომ თავისს ტოლ-ამხანაგს გადააჭარბოს სიმდიდრითა და ამიტომაც არაოდეს არ შეუძლიანთ სულის სიმშვიდე და მოსვენებით ცხოვრება მოიპოვონ».

შეძლების უთანასწორობას მალაბარი იქაურ ჰავის სისაძაგლეს აბრალებს და ამბობს: „ბრძოლაა ბუნებასთან, რომლიდგანაც ერთი რჩება გამარჯვებული, მეორე — დამარცხებული. იქაურ ხალხის შრომა წამებაა, ისეთი წამება, რომელსაც ყოველი კაცი გაურბის და თავს არიდებს. და ინგლისელები პირ-იქით ამ წამების გვარ შრომას არ ერიდებიან და ამგვარსავე წამებაში ატარებენ თავიანთს მრავალ-ტანჯულს სიცოცხლეს. თბილ ქვეყნებში-კი სულ სხვაა: იქ ყველასათვის ერთნაირად ნათობს მზე, და არც ისე შესამჩნევი არის სიღარიბე. რაც უფრო სუბუქია ქვეყნის ჰავა, მით უფრო საადვილოა არსებობა და უფრო შეზღუდულიცაა ადამიანთა მოთხოვნილებანი: მდგომარეობა და ცხოვრების სურათი მდიდრისა და ღარიბისა თითქმის ძალიან ცოტათი განსხვავდება ერთი-მეორისაგან. მე შემოვიარე მთელი ინდოეთიო — სწერს მალაბარი — და ყოველთვის მაძღარი ვიყავი მცირეოდენის რძითა და სუხარით, ხოლო მთელს ჩემს სიცოცხლეში პირველად ინგლისში ვიგრძენ შიმშილი. ეჭვს გარეშეა, რომ ბურუსიანსა და ნოტიო ჰავის მქონე ქვეყნებში ყოველს ღონეს ხმარობს კაცი, რომ ფიზიკური მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს. ამიტომაც არის, რომ ყოვლად განვითარებული და კულტურიანი მხარე ჩრდილოეთისა მეტად ემორჩილება მატერიალიზმს. ძალიან ძნელად მოსახერხებელია იდეალისტი და პოეტი იყო იმ დროს, როდესაც სტომაქი საჭმელს ვერ იტევს და სიცივისაგან-კი ძარღვებში სისხლი გეყინება“!..

ამას გარდა ზიზღით იხსენიებს მალაბარი ინგლისელთა სმა-ჭამას. „ინგლისში ყოფნის დროსაო, — სწერს მალაბარი — საუზმეზედ მიმიწვიეს, სადაც, სხვათა შორის, განათლებულნი, მეცნიერნი და პასტორნი იყვნენ. ვერ წარმოიდგენთ, რა ნაირად გამაოცა იმათმა მოქმედებამ. სწორედ რომ საზიზღარი სანახავი იყო, როდესაც ისინი უშველებელს ნაჭერ სისხლიან ხორცს ისე ჰყლაპავდნენ, თითქოს მამლები არიანო.

მე, რასაკვირველია, გადაჭრილი უარი ვსთქვი, რომ მონაწილეობა არ მიმეღო იმათ საუზმეზედ და, როდესაც მკითხეს, როგორ მოგწონს ინგლისელთა სანოვაგეო, მოურიდებლად და მკაცრად ვუპასუხე „საზიზღრებაა“ მეთქი. მაგრამ ყველაზედ უფრო იმან გამაოცა, რომ ამნაირად გამგელებულ ჭამასთან უზომოდაც სვამდნენ. ზედი-ზედ ისხამდნენ პორტერს, ელს, ვისკს, ჯინს და ამავე დროს განუწყვეტლად ლაპარაკობდნენ, არც ენა ელალებოდათ, არც თავი და ვერც სიმთვრალეს შეატყობდით.

ისინი მორწმუნენი არიან, მაგრამ ძალიან მაოცებს იმათი სარწმუნოება, რადგან არსებითად დიდი განსხ-

ვავებაა იმათსა და ნამდვილ ქრისტიანულ მორწმუნეთა შორის. ისინი თუ ეკკლესიაში დაიარებიან მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვეულება არ დაარღვიონ და მასთან მაგალითად გაუხდნენ სხვებს. რამდენჯერმე ვიყავი იმათს ეკკლესიაში და გამოტეხილი უნდა ვსთქვა, რომ ინგლისელები, ეს საუკეთესოდ დახელოვნებული ერი სხვა-და-სხვა მანქანათა კეთებაში, სწორედ რომ მათგანვე საგანგებოდ მოწყობილ მანქანებად მეჩვენებოდნენ.

„ჩრდილოეთის განვითარება და კულტურა—განაგრძობს მალაბარი—არარაობა და სიყალბეა. ის აჩლუნგებს, ჰკლავს ადამიანის სულიერს მხარეს და იმდენად შეპყრობილი ჰყავს ის, რომ ნამდვილსა და ჭეშმარიტის გზისაკენ-კი თვალს ვერ უხელს ჩრდილოელებს“.

◆◆

წერილი რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო სია იმათი, რომელთაც ს. სტეფანწმინდაში განზრახულ ბიბლიოთეკისა და სამკითხველოს სასარგებლოდ გარდმოსცეს: ყაზბეგის სადგურის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა სტეფანე გ. გაპაცინმა—1 მანეთი, იმავე სადგურის ტელეგრაფის ჩინოვნიკმა არტემ პეტროსოვმა—1 მან., იაგორა ღუდუშაურმა—1 მან. 10 კაპ., გიორგი თოფაძემ 1—მან., ვანო ქარიკაშვილმა—60 კ.პ., იაგორ გომიაშვილმა—60 კაპ., შიო ფიცხელაურმა—60 კ., მაქსიმე ალიბეგაშვილმა 60 კაპ., გრიგოლ ეფხოშვილმა—60 კაპ., ალექსი ჩოფიკაშვილმა 60 კ., ვანო წიკლაურმა 50 კ., ვანო ღუდუშაურმა 50 კ., თუშა ეფროშვილმა—40 კ., ივანე გომიაშვილმა 50 კ., პავლე ქავთარიშვილმა 50 კ.. გაგა ცოფურიამ—20 კ., გაგა ქავთარაშვილმა 20 კ., გიორგი ფიცხელაურმა 50 კ., სტეფანე ახალაშვილმა 30 კ., იაგორა ღუდუშაურმა 50 კ., ტატიკა მარსაღოვმა 50 კ., სამხედრო გზაზედ მომუშავე სალდათებმა 1 მან. 70 კაპ. და სტავროპოლის სემინარიის მოწაფე სვიმონ ჭელიძემ 5 ცალი წიგნი. შემომწირველთ უგულითადესს მადლობას ვუძღვნით.

მასწავლებელი გ. ნათაძე.

◆◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

პეტერბურგი, 30 ივნისი. ბოლგარიის დეპუტაციის წინამძღოლი მიტროპოლიტი კლიმენტი ინახულეს დღეს გარეშე საქმეთა და ფინანსთა მინისტრებმა.

სოფიიდგან დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგის გაზეთებს, რომ სოფიაში და შუმლაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდები იმპერატორის ალექსანდრე მესამის სულის მოსახსენებლად.

რომი, 29 ივნისი. ფინანსთა შესახებ კანონ-პროექტების განხილვის დროს კრისპიმ მოსთხოვა პარლამენტს სამინისტროსადმი ნდობის გამოცხადება, რაც პარლამენტმა დიდის ხმის უმეტესობით შეიწყნარა.

ბელგრადი, 29 ივნისი. ბულგარიის მთავრობა ფულით ხელს უწყობს იმ მაკედონელთ, რომელთაც ჰსურთ აჯანყებაში მონაწილეობის მიღება. რამდენიმე რაზმი უკვე გამოაწყეს და გაგზავნეს ოსმალეთის საზღვარზედ. უსკიუპიდგან იწერებიან, რომ სამი ბატალიონი ოსმალეთის ქვეითი ჯარისა ბულგარიის საზღვარისაკენ მიდის ჩქარის ნაბიჯით.

პარლამენტის სხდომები დაიწყო. პარლამენტის პრეზიდენტმა გარაშანინმა გამოაცხადა, რომ დეპუტატი ჩუმიჩი აღძრავს კამათს მაკედონიის მოძრაობის შესახებ.

სოფია, 29 ივნისი. ოფიციალურ ცნობიდამ სჩანს, რომ პრესპის ტბისა და ვარდარის ახლო მაკედონელთ რაზმები მოვიდნენო.

იოკოჰამა, 29 ივნისი. კორეში პოლიტიკური კრიზისია; დედოფლის მომხრე პარტიამ, რომელიც წინააღმდეგია იაპონიის მიერ შემოტანილის რეფორმებისა, სძლია იაპონიის მომხრე პარტიას. იაპონიის ელჩი დაუყოვნებლივ გაემგზავრება კორეს.

პეტერბურგი, 1 ივლისი. მომგებიანი ქაღალდების ტირაჟი დღეს არ ყოფილა.

პეტერგოფში მათ უდიდებულესობათ წარუდგა აბისინიის საელჩო და მიართვა მათ მეფის მენელიკისა, აბისინიის დედოფლისა და მიტროპოლიტის წერილები, ორდენები და საჩუქრები.

სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტი იწვევს რუსეთის მრეწველთ—მიიღონ მონაწილეობა ლიტოგრაფიის ხელობის გამოფენაში, რომელიც 15 აგვისტოდგან გაიხსნება პარიზში.

ბოლგარიის საელჩო დაესწრო 30 ივნისს სლავურის საქველ-მოქმედო საზოგადოების სხდომას, რომელზედაც წარმოთქმულ იქმნა რამდენიმე სიტყვა.

ბელგრადი, 30 ივნისი. მთავრობამ ბრძანება გასცა, რომ საზღვარზედ თვალ-ყური ადევნონ, რათა დაუშალონ ბოლგარელთ მაკედონიაში გადასვლა აჯანყებულთა მისახმარებლად.

ლონდონი, 30 ივნისი. პეკინიდგან იუწყებიან, რომ ჩინეთი ხელახლავ სესხულობს სამხედრო კონტრიბუციის გარდასახდელად 100 მილიონ ტაელს. ამბობენ, რომ სესხს თანასწორად მისცემს ინგლისი და გერმანია, შანხაის და ჰონკონგის ბანკები.

იოკაჰამიდგან იუწყებიან, რომ 10 ივნისს 700 ჩინელი თავს დაესხა იაპონიის ჯარს ხონშუსს ფორმოზის კუნძულზედ; 200 ჩინელი მოკლულ იქმნა, მრავალი დატყვევებულია, იაპონელთ გამოაკლდათ 11 კაცი.

◆◆

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

(857—1468)

ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდა გასასყიდად.

სახელმძღვანელო

ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის.

შედგენილი ფილიმონ ქორიძის მიერ.

ფასი წიგნისა სამი აბაზი.

ცნობილ ფაბრიკების

როიალები

პიანინო

ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი
სამუსიკო იარაღებისა,
ბ. მ. მირიმანიანისა,
რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(24—1819—18)

ტყავის აპრეტურა კელლერისა

ანუ ეგრედ წოდებული „ვაქსი ელვა“, გლიანც ლაკ და სხ. ისყიდებიან ყველგან და ყველა ცნობილ ვაჭრებთან.

საუკეთესო საშუალებაა, რომ ტყავს შავი ფერი მიეცეს და არც სისველეს უშვებს.

ქალთა ტანსაცმელისათვის ხომ შეუდარებელი რამ არის, **არასოდეს არ აჭუჭყიანებს**. აახლებს და კარგად ინახავს სხვა-და-სხვა ტყავეულობას, როგორც საკვოიაჟებს (პორტმონებსაც), ცხენის სამკაულს, სამხედრო და ეტლთა იარაღსა და სხ. ფასი ძალიან მცირეა.

(2—18—1)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

(წელი მეთოთხმეტე).

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის დათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1895—96 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრულად და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1596—1).

დაზღვევის საზოგადოება

„იაკორი“

(დუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეუყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—›)

Дозволено цензурою, Тифлисъ 1-го Іюля 1895 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.